მაგალითად, კოსტა ჯიოევი კი დიდი ბურჟუაა, მაგრამ ბარში ჩამოსულ გლეხებისგან გამიგია, და ისეც ვიცი, რომ ბევრგან დიდ სივიწროვეს განიცდიან მიწის მხრივ. სარჩერეში ჩამოსულ გლეხებს განუცხადებიათ: აქამდის ჩვენ მთაში ვიყავით და ეხლა ბარში ვგვიანდ ჩამოსულაო. მე უნდა განვაცხადო, რომ სახელმწიფო თვალსაზრისით, ჩვენ უნდა ვეცადნეთ, თუ და გვიჩვენა, თავისუფალი ფონდი მიწისა ოსის გლეხობასაც უნდა გაუნაწილოთ.

ამასთან ოსის ხალხს უნდა მიენიჭოს კულტურული ავტონომია.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ფაჩუაშვილს. (ხმები მარჯვენიდან და მარცხნიდან: შევწყვეტოთ კრება.)

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. თუ გნებავთ რომ კრება გადავდოთ შემოტანეთ წინადადება. თქვენ წერილობითი წინადადება არ შემოგიტანიათ და მე არ შემიძლიან კრება გადავდო. (სოციალ-დემოკრატებს შეაქვთ წინადადება კრების გადადების შესახებ. თავმჯდომარე კენჭს იყრის).

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. მაშასადამე კრება გადადებულ იქნება, კრებას ვხურავ. (კრება თავდება 4 ს. 45 წ.

პარლამენტის ქრონიკა.

მარიამობისთვის 30-ს სხდომა.

კრება გაიხსნა 12 საათსა და 45 წუთ.

თავმჯდომარეობდა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი იესე ბარათაშვილი. პრეზიდიუმში იყვნენ თავმჯდომარის მეორე ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი. პრეზიდიუმის მდივანი ე. ინაიშვილი. მდივნის ამხანაგი ი. აბაკელია.

დღიური წესრიგის*) დამტკიცების შემდეგ სიტყვა ეძლევა ბ ა ლ ვ ა ნ ი ძ ე ს (სოც.-ფედ.) რომელიც მოიხსენიებ, რომ სამანდატო კომისიას ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის შესახებ კანონ-პროექტის შესაბუშავებლად კიდევ ერთი კვირის ვადა მიეცეს.

წაკითხულ იქმნა ეროვნულ-დემოკრატების განცხადება, რომლის თანახმადაც გ ვ ა ხ ა ნ ა ა და ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს მაგიერ სამანდატო კომისიაში წევრებად იქნებიან: ს პ ი რ ი დ ო ნ ქ ე დ ი ა და რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი.

ა ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი. (ეროვ. დემ.) მომხსენებელია სტენოგრაფიულ ოქმების შემდგენელთა ჯამაგირების გათანასწორების შესახებ. თვითეულ სტენოგრაფისტს ჯამაგირად ენიშნება 700 მანეთი. კანონპროექტი საბჭომ უკამათოდ მიიღო.

ი ა ს. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. (ერ. დემ.) მოახსენებს საბჭოს სამრეწველო ნიხრეზე გადასახადების გადიდების შესახებ. კანონ-პროექტს საბჭო ღებულობს.

ს. ფ ი ო ი ტ ხ ლ ა ვ ა. მოახსენებს საბჭოს საბაკოების მოწყობის კანონის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანონის საბოლოო რედაქციებს. საბჭო კოტაოდენი ცვლილებით ღებულობს საბოლოო რედაქციასაც.

ნ ო ე ც ი ნ ც ა ძ ე. (ს. დემ.) მოახსენებს საბჭოს კანონპროექტს „განათლების საზოგადოების“ თ ა მ ა ნ ა ვ ი ფ ი ს სახელოვნის ქალთა საოსტატო სემინარიის მთავრობის გადმგებლობაში მიღების შესახებ.

ა. მ ა მ უ ლ ა ი შ ვ ი ლ ი. (ს. დემ.) მოითხოვს რომ ამოიშალოს ქალთა საოსტატო სემინარიის შტატებიდან სამეფოო სჯულის სასწავლებლად ნაანგარიშეები ხარჯი და ეს საგანი გადდეს არა სავალდებულოდ.

ნ. ც ი ნ ც ა ძ ე. წინააღმდეგია ამ წინადადებისა, რადგან სამეფოო სჯულის სწავლების გაუქმების შესახებ საბჭოს კანონ-პროექტი არ მიეღია.

საბჭომ სოციალ-დემოკრატების წინადადება მიიღო 21 ხმით 9-ს წინააღმდეგ.

სემინარიის ხარჯებისთვის გადაიდო 46, 585 მან. 75 კაპ.

შემდეგ ნ. ც ი ნ ც ა ძ ე მოახსენებს საბჭოს თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიის ეგერეულების შესახებ.

აღიძრა საკითხი ამ სასწავლებლების შტატებიდან სამეფოო სჯულის გამორიცხვის შესახებ.

შ ა ლ ვ ა ქ ა რ უ მ ი ძ ე ერ.-დემ.) ამის წინააღმდეგია.

ბ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი (სახალხო განათლების მინისტრი) პრინციპიალურად არ არის წინააღმდეგი.

ა ლ. მ ა მ უ ლ ა ი შ ვ ი ლ ს (სოც.-დემ.). შეაქვს წინადადება, რომლითაც მოითხოვს სამეფოო სჯულის დარჩენის არა სავალდებულო საგნად.

კამათში მონაწილეობას იღებენ: დ. უზნაძე (სოც.-ფედ.), ალ. ლომთათიძე (სოც.-დ.), შალვა ქარუმიძე (ერ.-დემ.) და ნ. ცინცაძე.

კენჭის ყრით საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც სასწავლებლების შტატებიდან სოფლიო სჯულის სწავლება, როგორც სავალდებულო საგნისა, იქმნა გამორიცხული,

დასასრულ ნ. ცინცაძე მოახსენებს საბჭოს კანონ-პროექტს სახალხო განათლების სამინისტროს ორგანიზაციის და მის შტატების შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ფაჩუაშვილმა (სოც.-რეკ.), ალ. ლომთათიძემ (ს.-დ.), გ. ქ. ლასხიშვილმა, დ. უზნაძემ (ს.-ფ.), შ. ქარუმიძემ (ერ.-დემ.), ნ. ცინცაძემ (ს.-დ.), არჩ. ჯაჯანაშვილმა (ს.-ფ.), ვას. წერეთელმა (ერ.-დემ.) ფალავამ (ს.-ფ.) და ს. ს. ფიოტხალავამ.

კამათი გადაიდო. კრება შესდგა 4 ს. 20 წ.

*) იხილე საქ. რეს. № 29.

„ს.-დ- და სახელმწიფო ორგანიზაცია“

ნ. ნ. ჟორდანიას მოსსენება

(გაგრძელება).

არის ორი სისტემა დემოკრატიული რესპუბლიკისა—ფედერატიული და უნიტარული. პირველის მაგალითია შეეიცარია და ჩრდილო ამერიკის შტატები, თუმცა უკანასკნელში დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპი გარეულებულია იმითი, რომ პრეზიდენტს ფართო რწმენებულება აქვს ჩაბარებული, რომელიც ინგლისის მონარქის უფლებებზე მეტია.

საქართველოს სინამდვილის პირობებში ფედერალიზმის პრინციპი ყოველად მიუღებელია და ამიტომ უნდა შეეჩერდეთ უნიტარულ დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. ამის მაგალითს ჩვენ ვხედავთ ძველი დროის საბერძნეთის ქალქების რესპუბლიკებში, სადაც ყოველი მოწვალეე პირდაპირ მონაწილეობას იღებდა მართვა გამგეობაში, თუმცა არ იყო დაცული მოქალაქობრივი თანასწორობა და თავისუფლება ყველა მცხოვრებთა შორის. რესპუბლიკა დამყარებული იყო მიწათა ზრომაზე.

თანამედროვე საზომით დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება პირველად საფრანგეთის კონვენტმა სკადა 1793 წ., რისთვისაც შესაფერი კონსტატუცია შეიმუშავა.

ეროონულებმა ბელადის კონდორსეს პროექტით ხალხის სუვერენიტეტი უნდა გამოთქმულიყო პირდაპირ, უშუალო

ვავლოთ თვალი და კარგი მხარეები იქიდან გადმოვიღოთ და შევითვისოთ.

ამ მიზნით, საკმარისია გერმანიის მაგალითით ვისაუბრეთო, რადგან, როგორც მოგეხსენებთან, აქ მეცნიერება, ტეხნიკა და მრეწველობა უაღრესად განვითარებული არიან.

რა ახასიათებს იქ უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებს?

აკადემიური თავისუფლება, საკონკურსო გამოცდების უქონლობა, სპეციალური დარგების სიმრავლე და მრავალსახეობა, მათი მეცნიერული მიმართულება, მჭიდრო კავშირი საზოგადოებასთან და მრეწველობასთან *)... გარდა ამისა, გერმანიის უმაღლესი სპეციალური სასწავლებლები თავისი ფართო ზოგადი განათლებით უახლოვდებიან უნივერსიტეტებს და ამ ნაირად ანეიტრალებენ ტეხნიკურ აკადემიის იდეალს...

გერმანიის სპეციალური სასწავლებლები შეიცავენ შერეული კოდნის ყოველივე დარგს, იქ ერთ ინსტიტუტში მოქცეულია ყველა ტეხნიკური ფაკულტეტი: ენერეტიკულური, საამშენებლო (გზათა), სამიჯნო, მექანიური, ელექტროტეხნიკური, ქიმიური და საქარხნო ქიმიური.

იქ რუსეთთან შედარებით ერთი მეტი განყოფილება აღმოჩნდა. ვინაიდან რუსეთის სპეციალურ სასწავლებლებში მხოლოდ ერთი ქიმიური განყოფილება არსებობს; გერმანიაში კი ორნაირს, ასე ვსთქვათ, ქიმიკოსებს ამზადებენ. იქ ქიმიკოსის დანიშნულებაა წარმოების მეცნიერული მხარეების შესწავლა და გათვალისწინება, სპეციალურად ქიმიური კანტროლის გაკეთება, ლაბორატორიებში მუშაობა და სხვ.

საქარხნო ქიმიკოსები კი დებულობენ მომზადებას, როგორც ქარხნების მიმდინარე ტეხნიკური პროცესების ხელმძღვანელნი, ე. ი. პირველთ ანტკერესებს ხელმძღვანელნი, და ამნაირად მეცნიერული, მხარე წარმოებისა, მეორეს კი—მთელი წარმოება, განსაკუთრებით ტეხნიკური პროცესები. ასეთი დანაწილება, რასაკვირველია, მეტ სარგებლობას მოიტანს მეტ ნაყოფს გამოიღებს...

რუსეთში უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელს უყურებდნენ მხოლოდ, როგორც სპეციალისტ-ინჟენერების მოსამზადებელ დაწესებულებებს.

იმ პირთ, რომელთაც არ ჰქონდათ დასახული პროფესიონალური მიზნები, არამედ ინტერესებდათ შერეული, ტეხნიკური კოდნა; აგრეთვე დიპლომიან ტეხნიკოსებს, რომელნიც მოისურვებდნენ ახალ სპეციალურ საგნების შესწავლას,—ინსტიტუტის კარები დახურული ჰქონდათ.

მარილაც, თითქმის არც ერთი ინსტიტუტის შეხედვა ნებას არ აძლევს თავისუფალ მსმენელთა მიღებისას.

ასეთი კარ-ჩაკეტილობა ყოველად შეუწყნარებელია, რადგან ამ სასწავლებელთა უმთავრესი დანიშნულებაა მრეწველობის სამსახური და განვითარება და მათთან მჭიდრო კავშირი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლები აუცილებლად უნდა აძლევდნენ საშუალებას თავის ყოფილ სტუდენტებს გაეცნონ კურსის დასრულების შემდეგ მეცნიერებაში და ტეხნიკაში მოხდარი ცვლილებებს, გამოკვლევებს, აღმოჩენებს, რათა თვითონაც შესძლონ წარმოების წინ წაწევა, ტეხნიკურ ცხოვრებაში გამოყენება, პროცესებში ახალი მხარეების შეტანა.

თავისუფალ მსმენელთა გარდა გერმანიაში არსებობს კიდევ მსმენელთა ერთი კატეგორია („ჰოსპიტანტი"), რომელიც ერთი სემესტრის განმავლობაში სწავლობს პროფესორის ნებართვით ერთ რომელიმე დარგს, ან დარგის ნაწილს. ესენი არიან სწავლულნი, ინჟენრები, ტეხნიკოსები და სხვ., რომელთაც სურვილი აქვთ მეცნიერული დაწინაურება და რომელიმე საკითხში კოდნის გაფართოება ან ნაწარმოების ახალი მეთოდების შესწავლა-შეთვისება.

ასე რომ, თუ გერმანიაში გონივრულ საქმის დაყენებას ზურგს არ შეუქცევენ, უნდა გაეიაროთო, რომ საჭიროა უმაღლეს სასწავლებელთა კარების გაღება, არა მარტო იმათთვის, ვისაც რაიმე სპეციალურ პროფესიისათვის უნდა მოემზადოს, არა მარტო სპეციალისტების, არამედ ყველასთვის, ვისაც სურს კოდნის შეძენა, სწავლა-განათლების მიღება.

ასეთი მრავალფეროვნე ფუნქციები გერმანიის სასწავლებლებისა ასეთ პრინციპებზე აკავშირებს მათ მეცნიერებასთან, მრეწველობასთან და საზოგადოებასთან, ახალნაწილებს და აარ-

*) რუსეთში ბევრი ქარხანა-ფაბრიკები სტუდენტებს პრაქტიკაზე არ ღებულობენ და დასაფიქრებელია, ეს ერთი მეორე ნაბიჯია, რომ ბუნებაში ავიტაციის გასწავლა და გაფრენანი. ეს ერთი. მეორე ისა, რომ ფამილიარულად მრეწველობა უცხო ხალხის ხელში იყო, და არ უნდოდათ ხელის შეწყობა ინტელიგენციის მისწავლა ანალიზირებისათვის. ეს ჩვენ კარგად უნდა დავინახოთ.

მავეს სწავლა-განათლების, მეცნიერების და ტეხნიკის საქმეს, და ნაყოფს დღეს მთელი კაცობრიობა ნათლად ხედავს.

თუ გვინდა სწავლა-განათლებას საქმე რიგიანად და ნაყოფიერად მივაწყოთ, უნდა მივეწყვიტოთ ბოლოს ეს აგრეთვე ის არა ნორმალური მოვლენა თუ სიმახინჯე, რომელსაც ამდენსა ჩვენში ადგილი ჰქონდა,—ეს არის ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის სრული უეკოდინარობა...

საჭიროა იმარჯოდეს ხშირი ექსკურსიები, რომელთაც დიდი ალმზრდელობითი მნიშვნელობა ექნებათ. ექსკურსიები გააცნობენ მონაწილეთ საშობლოს არე-მარეს, საყურადღებო ადგილებს და ღირსშესანიშნავ ნაშთებს; შეისწავლითან მათ თავის ქვეყნის ბუნებას—მთებსა და ღრეებს, მეცნარეთა, ცხოველთა და მინერალთა სამეფოს... ბუნებასთან დაიახლოვებას, ბუნების ცაცნობას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, ვინაიდან ბუნება საუკეთესო სახელმძღვანელოა, საკვირველი და ნაზშენაი შინაარსის წიგნია. ასეთი მოგზაურობა ყმაწვილებს ჩაუნერგავს საშობოლოსადმი კეთილშობილური სიყვარულს, ვინკვითარიებს დაკვირვების ნიჭს, გაუფაციერებს და განუმტკიცებს ესთეტიურ გრძნობებს, გამოიწვევს ცოდნის შეძენის თავდაუჭერელ სურვილს, სამშობლოზე სწორ წარმოდგენას მისცემს და სხვ.

სკოლის განახლებისათვის, რასაკვირველია, საჭიროა მასწავლებელთა სერიოზული და ახალ პრინციპებზე მომზადება, „ვინაიდან ვისაც ჰსურს ქვეყანა წინ წასწიოს, მან ჯერ თვითონ უნდა წაიწიოს" (ფილ. სოკრატი).

კიდევ ბევრი საკითხებია გადახლართული სკოლის განახლების საქმესთან, მაგრამ ამათი და აგრეთვე სკოლის გარეშე ცოდნის გავრცელების და სწავლა-განათლების მოწყობის შესახებ შემდეგ მოვიღაპარაკებთ.

ინ. ვ. ბაკბაძე

ჰიმნი.

ყოველ ერს და განსაკუთრებით სახელმწიფოებრივი უფლების მატარებელ ერს თან ახლავს ჰიმნი. როდესაც კითხვა შეიხება ერის ბედნიერებას ან უბედობას, საჭიროა მისი ჰიმნის ხმა აიღოთ და მაშინ დაინახავთ ერის სულის განწყობიერებას.

მაგალითად, ინგლისის, როგორც განვითარებული ეკონომიკის და სამრეწველო გენის წარმომადგენელის ჰიმნი გამოხატველია მისი ტიპიური ხასიათისა. საფრანგეთის—როგორც თავისუფლებისა და ერთობისათვის მებრძოლის ჰიმნი „მარსელიეზა". გერმანია—ვამცქვალული იყო სარწმუნოებრივი მიმართულებით და მის ჰიმნში გამოთქვა სწორედ ეს გრძნობა. რუსეთის ჰიმნი ათაყვანებს თვითმპყრობელს და ევედრება.

იაპონიის—როგორც აღმომავალ მზის ქვეყნის ჰიმნში მკაფიოდ გამოხატულია მისი ერის ოვისება და სხ.

ჰიმნი გამომხატველია ერის სულის-კეთილბისა, მის ტიპიურ სახისა და თვისებისა. ამიტომ არის ძნელი, რომ პოეტმა და კომპოზიტორმა იგრძნონ ერის თვისება და მის დამახასიათებელი სუნთქვა გამოსთქვან მოკლე შტროხით, მკაფიოდ გამოჰხატონ ერის გლოვა-სიხარული, წარსული და მომავალი. ჰიმნი არის ხალხის ხმა, ხალხის გულის ამონაკვნესი.

სვიდეშელი.

საქართველოს ოსეთის ურიერობის რეზოლიუციები

რეზოლუცია მამდინარე მომენტზე.

პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც გამომდინარეობს რუსეთის რევოლიუციონური ერთიანი ფრონტის დარღვევით, აიძულებს სამხრეთ ოსეთის ხალხს გამოარკვიოს თავისი საერთაშორისო მდგომარეობა, ამის გამო სამხრეთ ოსეთის ხალხთა მე-5 ყრილობამ სოფ. ჯავაში მიიღო რა მხედველობაში ერთის მხრით საგარეო და შინაური მდგომარეობა სამხრეთ ოსეთისა და მეორე მხრით საერთაშორისო რევოლიუციონური მასწრაფებანი სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს დემოკრატიისა, დაადგინა:

1) სამხრეთ ოსეთი შეადგენს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის შემადგენლობაში, ფართე ტერიტორიალურ თვითმართველობის საფუძველზე ერთიან ტერიტორიაზე მოსახლეობისაგან, ეროვნულ პერსონალურ ავტონომიის საფუძველზე. იმ ოსებისათვის, რომელნიც მოსახლეობენ ქალაქებში. სამხრეთ ოსეთის უფლება აქვს ამ ოსების შინაური ცხოვრება მათ სურვილისაებრ მოაწყოს.

2) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამხრეთ ოსეთის მდგომარეობის კონკრეტიულ პირობების გამორკვევას და გამომუშავებას ყრილობა ანდობს სამხრეთ-ოსეთის ეროვნულ სამეჯოს იმ პირობით, რომ ეს პირობები წარედგინება დასამტკიცებლად ოსეთის მე-6 ყრილობას.

ამასთანავე ყრილობა იმედს გამოსთქვამს, რომ სამხრეთ ოსეთის დემოკრატია საქართველოს დემოკრატიასთან ერთად ივლინან ერთის გზით რუსეთის დიდი რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად.

რეზოლიუცია ინარდის ბერის შესახებ.

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ ოსეთის მოსახლეობას სრული ლოიალური განწყობილება აქვს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან, რომელიც უფრო გაძლიერდება ამის შედეგად, როგორ გადაწყდება საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლა, და იმ მდგომარეობას, რომ ოსეთის ხალხი დარაჯად უდგია რევოლიუციის მონაპოვარს და წინააღმდეგია ყოველ გვარი ანარქიული მოქმედებისა, ყრილობა დარწმუნებულია რომ საქართველოს მთავრობა არ მოისურვებს ძალით აჰყოროს იარაღი ოსის ხალხს და მით უფრო მოიპოვებს ოსების ნდობას.

ყრილობა ამავე დროს დარწმუნებულია, რომ სამხრეთ ოსეთის ხალხი თავის მხრივ რაიმე გამოსვლით მიზეზს არ მისცემს საქართველოს მთავრობას, რომ მან საჭიროდ იცნოს ოსების ძალით იარაღის აყრა.

ყრილობამ ამ საკითხის გამო მოლაპარაკების გამართვა ეროვნულ სამეჯოს მიანდო.

თელავის სარაიონო სასურსათო კომიტეტის მოღვაწეობა

ამ კომიტეტის მოღვაწეობა თამამად შეიძლება ჩაითვალოს მომავალ ერობის წინამორბედად. მან თავისი მოქმედებით ნიადაგი მოუმზადა სოფლად საზოგადო მუშაობას, ამამაქმედა ინტელიგენცია და სოფლის ხალხი ასე თუ ისე შეაჩვია საკულტურო მუშაობას.

ამ კომიტეტის მოქმედება მარტო სურსათის მიწოდით ან განაწილებით არ ვინისაზღვრებოდა, იგი რამდენადაც-კი ძალა შესწევდა ცდილობდა სოფელში გაფანტული ინტელიგენცია შეერთებინა და ერთმანეთის თანხმობით გამოეყენა ჩვენი სოფელი უნუგეშო მდგომარეობიდან.

სწორედ ამიტომ სარაიონო კომიტეტის კრებამ, გაიკერა და მოისმინა რა წარსული 16 თვის მოღვაწეობა, ერთხმად გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც მოიწონა კომიტეტის გამგეობის მოღვაწეობა და სცნო იგი მიზან-შეწონილად მომავალ ერობის უფნქციების ასრულების და ნიადაგის მოუმზადებისათვის. ამასთან კრებამ სთხოვა გამგეობის თავმჯდომარე ლევან ვახვახიშვილს და წევრს თ. ჩანგაშვილს, დარჩნენ გამგეობაში, ვიდრე სამაზრო ერობა აიღებს თავის ხელში სასურსათო საქმეს.

როგორც მოსსენებიდან გამოირკვა, 16 თვის განმავლობაში კომიტეტს შემოსავალი ჰქონა 852,811 მან. გასავალი 820,674 მ. კასაში დარჩენილა 32137 მან. საქონელი და სურსათი მიუღია: ბური და შაქარი 716.800 მანეთისა, სამეურნეო მანქანები 5070 მან. ფართლეულობა 53190 მან. წვრილმანი საქონელი 6193 მან. და სხვა და სხვა საქ. 6997 მან. სულ 788,250 მან.

გამგეობა ცდილობს ავტომობილებით ფოსტის გადატანის მოწყობას, კახ. რკ. გზის სადგურთან მისასვლელ გზების გაკეთებას, მას უკვე თბილისიდან გადმოუზიდნია თელავში დიდძალი რკინეულნი, სხვა საქონელი და რამდენიმე სამალოსნო, როგორც სამკეფლი, ისე საზეინკლო, სარაჯის ქარხნის მოწყობილება და სხვ. დაიწყებს ერობა მოქმედებას თუ არა, ყველა ეს მას უნდა გადაეცეს. ამ დიდძალ ქონების შეძენასა და გადმოტანაში დიდი ზრუნა მიუღიოს თუმე გაგ. თავმჯდ. ლევ. ვახვახიშვილს, რაიც კრებაზედაც იქნება აღნიშნული. კრებას სხვათა შორის დაეწერა საქართველოს რესპუბლიკის სასურსათო სამინისტროს რწმუნებული ს. დანდურო�n, რომელიც აგრეთვე საჭირო განმარტებას აძლევდა სხვა და სხვა საკითხებზე დიმწერეთ.

ლ.ნ.

სოფლების ცხოვრებიდან.

ბაღეთ „ფშაკი" დაბეჭდილია შემდეგი წერილი:

„ერთი თვე იქნება, რაც სოფელ უზუნლარს მოსულა სამხედრო ექიმის ტანისამოსში, ისევე სოფლის შვილი სახელად სტეფ. მანოშვილი. იგი თავის თავს აცხადებდა ხან ექიმად, ხან სტუდენტად. იგი გაშოკსდა აქ საქართველოს მთავრობის რწმუნებულად, დაიკერა ეფთიანი ექვსი ჩიგარი აქაური ახალგაზდებისგან და გაგდა ამ სოფლის ბატონ-პატრონი. იგი დასახლდა უზუნლარის სახელწოდ სკოლაში, დაიჭირა თვით სხვა სოფლის მასწავლებლის ოთახები დაუკითხავად.

საკვირველი ის არის, რომ როცა სოფლის სკოლის უფროსმა მასწავლებელმა ჰკითხა სოფლელებს, თუ ვის მიუცია მისთვის ნება, რომ ის თავის დებით, დისწულებით და ამხანაგებით სკოლის შენობაში დადგეს, სოფლელებმა გაშტერებული ასახუხეს:

— ეაჰ, მასწავლებელო, სამაზრო უფროსს ვინ უნდა მისცეს უფლება. მას სუფლელზედ მეტი უფლება აქვს.

როცა შედიახართ სტ. მანთაშიანის სახლში, პირველ ოთახშივე ნახავთ დიდი ასოებით დაწერილ რუსულ განცხადებას: „Кабин. уполномоченнаго Лорійскаго района", ამის ქვეშ კი ცარცით სწერია: „Входъ постороннымъ лицамъ строго воспрещается.

ზემოხსენებული მანთაშიანი, როგორც თვით ამბობს, მთელი ოლქის რწმუნებულია „по всѣмъ важнымъ дѣламъ", სთხოვს სოფელს სხვა და სხვა სანოვაგეს: კვერცხი, ბური, ვარია, ერბი, თაფლი და სხვა. მან სკოლის შენობა თავისთვის შეუფერებლად ნახა და მოინდომა ძალით გაეგდო ერთი ლტოლვილის ოჯახობა და ითხოვ დამდგარიყო, მაგრამ ვერ მოახერხა, რის შემდეგ დაკმაყოფილდა სკოლის ერთი კლასით და მასწავლებლის ოთახებით.

ბატონი მანთაშიანი უზუნლარის კომისარის საქმეებშიც ერევა და ეიღაც თავის ნათესავი დაუნიშნია საზოგადოების გადამწყვეტად.

ამ ეიგბატონმა, როგორც „ფშაკის" მკითხველებს ეხსომებათ, დიდი როლი ითამაშა სადახლოში მომხდარ ამბებში. როგორც ჯარის ცრუ მბრძანებელი.

ზოგიერთნი იძახიან, რომ მანთაშიანი 155 ზუგრის საეკუთვნო პუნქტის არ თუ ექიმი ყოფილა, არამედ ფაროალი სანიტარი ყოფილა.

თუმცა მანთაშიანი თავის თავს აცხადებს მთელი ლორის ოლქის რწმუნებულად „по всѣмъ важнымъ дѣламъ", მაინც უპირველეს ყოვლისა მიწის საკითხებში ერევა. იგი სოფელში აცხადებს თავის თავს საქართველოს მთავრობის მიწადმოქმედების მინისტრის რწმუნებულად და ეჭიმათ, თბილისში კი ოფიციალურ პირებთან თავის თავს ლორის სოფლებიდან ირჩეულ რწმუნებულს და ეკიმს ეძახის, ნამდვილად კი არავის მიუცია მისთვის რწმუნებულობა, ან რა საკითხების შესახებ და რისთვის არის გამოგზავნილი უზუნლარში, არავინ გარკვეულათ არ იცის.

ჩვენ ვეცხოვრით ინოსთან ხანში, როცა ყველა ნაირი სასწაული მოსალოდნელი.

მე მგონია, რომ თუ ახლა, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივობა ახლათ იქნება, და მთავრობას არა აქვს საშუალება ადგილობრივი გამგეობის უქონლობით ამ წამშივე გიოგოს მომხდარი ამბები, მაშინ ლორის საოვსტომომ, როგორც სოფლის ხალხთან უფრო ახლო მდგომმა ორგანომ და უფრო მეტად დაინტერესებულმა, უყურადღებოდ არ უნდა დასტოვოს ლორის ოლქში მომხდარი ამბები.

საჭიროა რომ საქართველოს მთავრობამ ამას ყურადღება მიაქციოს!

პროექტი

ვეტერანარულ-სანიტარულ ორგანიზაციისა საქართველოს რესპუბლიკაში.

ვეტერინარიის დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ჩვენში საქონლის მოყვანა-მოშენებას დიდ ყურადღებას აქცევენ.

ვეტერინარია თუ აქამდი იყო დაყენებული ბიუროკრატიულ ნიადაგზე და მაშასადამე ხალხთან ჩამოშორებული, ეხლა უნდა ჩაექსოს თვით ხალხის მოთხოვნილებას. ეს კი შესაძლებელია მაშინ, როცა ერთა გაეძლეგება ამ საქმეს.

ვეტერინარულ-სანიტარული კანონმდებლობა მაშინ არის ცოცხალი და ძიზან-შეწონილი, როცა იგი ვეტერინარულ პერსონალის, მთავრობის და ერთის წარმომადგენელთა კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია.

და რადგანაც ვეტერინარია ისახავს: რთულს და საპასუხისმგებლო მიზნებს და ეუნქციებს, მისი ორგანიზაცია უნდა იყოს თავისებური ყოველგვარ ხელოვნურად შემქმნელს დამოუკიდებლობისაგან და უნდა ექვემდებარებოდეს, ერთის მხრით, სათანადო სამინისტროს, როგორც სახელმწიფოებრივი ვეტერინარულ ორგანიზაციას და, მეორეს მხრით, ერობის ორგანიზაციას, როგორც საკრებულს.

1. ვეტერინარულ-სანიტარული დარგში ხელმწიფე იღებს თავის თავზედ იმ ფუნქციებს და ინგვარ კანონებს შექმნას, რომელიც აქვთ სახელმწიფოებრივი ხასიათი და ეროვნული მნიშვნელობა. მაგალითად: უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლების შექმნა. სამეცნიერო ექსპერიმენტალურ ინსტიტუტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაარსება, სახელმწიფო ლაბორატორიის მოწყობა პრაქტიკული მიზნებით, ერობის ხარჯებში შეშველება ვეტერინარულ-სანიტარულ ზომების ცხოვრებაში გასატარებლად, თუ თვით ერობამ ვერ შესძლო ეს, სუბსიდიებით დახმარება იმ ხასიათის საზოგადო ორგანიზაციებისა, რომელთა მიზანია საქონლის გადამდებ ავადმყოფობათა შესწავლა და კვლევა-ძიება, შენახვა თავის ხარჯზედ საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დასამუშავებელ საადგურისა და ამ საადგურის მოსამსახურეთა შტატისა, საქონლის ჭირთან ბრძოლა-ორგანიზაცია და გამოწვეული ხარჯების გასტუმრება; მოწყობა პერიოდულ ვეტერინარულ პერსონალის ყრილობებისა სხვა და სხვა კანონ-პროექტების დასამუშავებლად სპეციალურ დარგში, მოწყობა მოსაზღვრე სახელმწიფოებთან საქონლის გადარეკ-გადმორეკის კითხვებისა, დაცვა საზღვრებისა მოსაზღვრე ვეტერინარულ პერსონალის საშუალებით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაში საქონლის ჭირის გადმოტანისაგან, შემუშავება წინასწარ ზომებისა, დანიშნა გარკვეულ პუნქტებზე თავის აგენტების—ვეტერინარების სავაჭრო-სამრეწველო საქონლის გასასნეზად და კანონიერ პროცენტის ასაღებად. ამის გარდა არსდება მთავრობასთან განკალკევებული რაზმი ვეტერინარებისა და მათი თანაშემწეებისა (ფერშლებისა) საქონლის ჭირთან და სხვა გადამდებ ავადმყოფობათა საბრძოლველად.

ამ ფუნქციების აღსასრულებლად და ჩამოთვლილ პუნქტების ცხოვრებაში გასატარებლად სათანადო სამინისტროსთან (დღეს შინ. საქ. სამინისტროსთან) არსდება ვეტერინარულ სანიტარული ორგანო შემდეგი შემადგენლობით: გამგე-თავმჯდომარე და ერთი ან ორი თანაშემწე შესაფერი შტატებით (უკვე არსებობს).

ამავე დროს სდგება ცენტრალური საბჭო საქართველოს რესპუბლიკის ვეტერინარულ პერსონალის და ერობათა წარმომადგენელთაგან, რომელიც იმუშავებს სხვა და სხვა კანონებს, როგორც დამხმარე მთავრობისა კანონმდებლობითი ორგანო. აღმასრულებელი ცენტრალურ ორგანოს თ. ამჯდომარე და მისი თანაშემშეწენი შედიან გადამწყვეტი ხმით ამ საბჭოში ინფორმაციით. ამათ გარდა საბჭოში შეეკენენ გადამბარენი ხმით დელეგატები: გუბერნიის ვეტერინართა პერსონალიდან, ქ. თბილისის ვეტერინართა ორგანიზაციისგან, ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოებისაგან, სამეურნეო საზოგადოებისაგან, ვეტერინარულ პერსონალის პროფესიონალურ კავშირებისაგან და სამხედრო ვეტერინარულ ორგანიზაციისგან. საბჭო იკრიბება პერიოდულად, სხვა დროს ეწევა სამსახურს ადგილბრივ, როგორც დანარჩენი პერსონალი.

2. საგუბერნო ერობის და ან თუ ეს არ იქნება, გამაერთებელი ერობის ცენტრალური ორგანო, კისრულობს: ადგილობრივ გარკვეულ ტერიტორიალურ ერთეულისთვის კანონმდებლობას საეტერინარო—სანიტარულ დარგში. ფინანსების მოწყობას მცირე ერობის ერთეულებისათვის გადამდებ ავადმყოფობათა საწინააღმდეგოდ, გარდა საქონლის ჭირისა (чума рог. скота). გუბერნიის შესწავლას ვეტერინარულ-სანიტარული მხრით, საქონლის მოგლა—მოშენების კითხვების გარკვევა შესწავლას, პერიოდიული ყრილობების მოწყობას, დიაგნოსტიკურ კაბინეტების შექმნას და საქონლის მკურნალობის მოწყობას, ზოოტეხნიკურ პუნქტების გახსნას და სხვა ამ მიზნების განსახორციელებლად საგუბერნიო ერობის გამგეობასთან არსდება ვეტერინარულ-სანიტარული ბიურო, როგორც ორგანო აღმასრულებელი, დამაკავშირებელი და ორგანიზაციულ მუშაობის მწარმოებელი. ამავე დროს დგება საგუბერნო საერობო ვეტერინარული საბჭო ერობის წარმომადგენელთა თანადასწრებით, როგორც ორგანო კანონმდებლობითი და დამხმარე ერობის ორგანიზაციისა. კრებები პერიოდულია. თუ შესდგა გამაერთიანებელი ცენტრალური საერობო ორგანო, მაშინ საგუბერნიო ერობის ჩამოთვლილი ფუნქციები გადადის პირველის კომპეტენციაში.

3. მაზრებში კი მთელი საეტერინარო და სასანიტარო ფუნქციები შედის სამაზრო ორგანოების კომპეტენციაში. პირდაპირი თანაშრომეობა არიან სასოფლო ვეტერინარული პერსონალი, რომელიც კავშირდება და მიზან შეწონილად მოქმედობს სამაზრო ვეტერინარულ საბჭოს დახმარებით და ერობის გამგეობასთან მჭიდრო კონტაკტით.

4. სამეცნიერო დაწესებულებანი საეტერინარო დარგში უნდა იყვნენ: ლაბორატორია საქონლის გადამდებ ავადმყოფობათა საწინააღმდეგოდ ვაქცინების და შრატების დასამზადებლად. ქუთაისის საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამამუშავებელი საადგური, ქართველ ეტერინალურ პერსონალის საზოგადოება და საეტერინარო ინსტიტუტი.

ამის გარდა, სამეურნო საქონლის დაზღვევა უნდა ხდებოდეს ფართო ფედერატიულ პრინციპებზედ და ამ საქმეში უნდა მიიღონ მონაწილეობა როგორც პასუხის მგებლობაში, (риск.) ისე საქმის წარმოებაში თვით ხალხმა. პირველი ნაბიჯი დაზღვევისა უნდა იყოს ადგილობრივი საზოგადოებრივი დამზღვევი კავშირები, რომელნიც თანდა-თანობით ეთთარდებიან კონცეტრიულად და იღებენ სახეს საზელმწიფო გადამზღვევ კავშირისას.

სამეურნეო და ზოოტეხნკური ნაბიჯები—საშუალებები და მოწყობა შედის სამაზრო ორგანიზაციების კომპეტენციაში, მაგრამ ამისდა მიუხედავად საგუბერნო და ან ცენტრალური საერბო ორგანო და მთავრობა ეხმარებიან როგორც ფინანსიურად, აგრეთვე ორგანიზაციულ მოწყობაში ზემოხსენებულ დარგისას.

მთავრობა და ცენტრალურ ერობის ორგანიზაცია შეთანხმებით იღებენ თავის თავზედ ზემოდ აღნიშნულ ფუნქციების გარდა: მედიკამენტების და ინსტრუმენტების შეძენას, შეღავათიან სესხის აღებას ვეტერინარულ ამბულატორიების და სამკურნალოების მომართვისათვის, გაუმჯობესებულ საქონლის გამოწერა-შეძენას, საქონლის გამოფენების გამართვას, შუამდგომლობს გაუმჯობესებულ საქონლის ეგზემპლიარების ყიდვა-გაყიდვაში, მომხმარებელ და მწარმოებელ კოოპერაციების ორგანიზაციას საეტერინარო დარგში, რძის ფერმის შექმნას და ხორცეულების ეკსპლოატაციის მოწყსრიგებას და სხვა. აი ის კონკრეტიული ფორმები, რაშიც უნდა გამოიხატოს საგუბერნიო, სამაზრო ერობის ორგანიზაციის და მთავრობის როლი ვეტერინარულ-სანიტარულ დარგში. რაც შეეხება კითხვებს, მეიდრად დაკავშირებულებს ერთი მხრით მედიკო-სანიტარულ და მეორე მხრით ვეტერინარულ-სანიტარულ ორგანიზაციებთან, მათი გადაწყვეტა ხდება გაერთიანებულ კრებებზედ. ეს შეეხება მომავალ ორგანიზაციას. ჯერჯერობით კი, რადგანაც აწ უკვე არსებობს საშინაო სამინისტროსთან ცენტრალურ ვეტერინარულ-სანიტარული ორგანო, პირველ პუნქტებში ჩამოთვლილი ფუნქციები ეკისრება მას.

საერობო ფუნქციები კი არსებულ გუბერნიებში ვეტერინარულ-სანიტარულ საბჭოებს და ბიუროებს.

თუ მთავრობა დაადასტურებს ფინანსების შემოკლების თვალთაზრისით გაუქმებას დღესვე არსებულ საგუბერნო საეტერინარო ორგანოებისას, ცენტრალური ვეტერინარულ-სანიტარული საბჭო და ბიურო იკისრებს მთელ ფუნქციების მიღებას ერობის ორგანიზაციების შექმნამდის.*)

ვ. დაშხეური.

*) ეს პროექტი მოწონებულია ვეტერინარულ პერსონალის კერძო თათბირზე, სადაც იღებდნენ მონაწილეობას თბილისის და ქუთაისის გუბერნიების წარმომადგენელნი, თბილისის საკასბოში და ცენტრალურ ვეტერინარო ორგანოს წევრნი და წარდგენილია განსახილველად შინ. საქ. სამინისტროს და ეროვნულ საბჭოს ადგილობრივის კომისიაში. 3 ლ.

ქურნალ-გაზეთებიდან.

ლენინის გაკვეთილი.

კიევიდან მიღებულ ცნობით ლენინი და სხვა გამოჩენილი ბალშევიკები საზღვარ-გარეთ მიდიან იმ მიზნით, რომ ცენტრალურ სახელმწიფოებთან უფრო ახლო დამოკიდებულების კავშირი იქონიონ.

მურმანის დამოება.

გაზეთები იუწყებიან, რომ საბჭოთა მთავრობას კოლსაკის ხახეკინ კუნძული და მურმანის ოლქი ფინლანდიისათვის დაეთმია, რათა ფინლიანდიას საშუალება მიეცეს მოკავშირეთა ჯარებით დაკავებულ ადგილების შემოერთებისა.

ტეინმეერგის შეუერობა.

კურსკში დაიჭირეს და მოსკოვში გაგზავნეს იუსტიციის ყოფილი კომისარი ტეინბერგი, რომელსაც ამბრალებენ მემარცხენე ესერების აჯანყებაში მორალურ მონაწილეობის მიღებას.

სოც.-დემ. და ბუნდას პროტესტი.

რ. ს. დ. მ. პარტიამ და ბუნდას ცენტრალურმა კომიტეტმა, ევროპისა და ამერიკის სოციალისტურ ცენტრალურ კომიტეტებს დაუგზავნეს შემდეგი განცხადება: „40 წარმომადგენელი, მუშების მიერ სხვა და სხვა ქალაქებში ამორჩეულნი მუშათა ყრილობის მოსაწვევ თათბირისათვის დატუსტებულია, რომელიც უნდა გადასცენ უმაღლეს რევოლიუციონერ ტრიბუნალს, სადაც მხოლოდ სიკვდილის დასჯის განაჩენები გამოაქვთ. ვთხოულობთ ყველა სოციალისტურ პარტიების საქმეში ჩარევას, რომ შეჩერებულ იქმნას სამარცხვინო და შეუწყნარებელი დასჯა“.

ГАМОЦЛАДЕБИ ЦНОБЕБИ

სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა

ქალ. თბილისიდან

№ 3—გადის თელავიდან დილის 8 ს. 28 წ.
„ გურჯაანში მიდის „ 10 „ 14 „
„ თბილისში „ საღამოს 5 „ —
№ 4—თბილისიდან გადის დილის 8 „ 58 „
„ გურჯაანში მიდის ნაშუადღ. 3 „ 24 „
„ თელავში „ საღამოს 5 „ —
№ 5—წნორის წყალიდან
„ გადის დილის 8 „ 42 „
„ გურჯაანში მიდის „ 10 „ —
№ 6—გურჯაანიდან გადის ნაშუადღ. 4 „ 15 „
„ წნორის წყალში მიდის „ 6 „ 20 „

ГАНЦХАДЕБЕБИ

ГАИЧЕНА

საუკეთესო ქართული ღვინის საწყობი


№ 5.
ქალ. ,,ბორჯომი“
ТЕЛЕФОНИ № 128
ТЕЛЕФОНИ № 128
ТЕЛЕФОНИ № 128